

## ეკლესიის საქველმოქმედო საქმიანობის მუშაკებთან

### წმინდა მამის მიმართვა

#### კამილელთა ცენტრი - თბილისი

შაბათი, 1 ოქტომბერი - 2016 წ.

ძვირფასო ძმანო და დანო,

სიყვარულით მოგესალმებით და გამოვთქვამ ჩემს სიხარულს თქვენთან შეხვედრის გამო, ქველმოქმედების სფეროს მუშაკნო საქართველოში. თქვენი ზრუნვა მოყვასისადმი იმ სიყვარულის ნათელი გამოხატულებაა, ქრისტეს მიმდევრებს. რომ გამოარჩევს. მადლობას ვუძღვნი მამა ზურაბს, ყველას სახელით გამოთქმული გულთბილი სიტყვებისათვის. თქვენ წარმოადგენთ ქვეყნის სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებას: მამათა და დედათა რელიგიურ ინსტიტუტებს, “კარიტასს”, საეკლესიო ასოციაციებსა და სხვა ორგანიზაციებს, მოხალისეთა ჯგუფებს. მსურს გამოვხატო ჩემი პატივისცემა ყოველი თქვენგანისადმი, გაჭირვებული ადამიანების სასიკეთოდ გაღებული ძალისხმევისათვის.

თქვენი საქმიანობა წარმოადგენს ძმური თანამშრომლობის გზას ამ ქვეყნის ქრისტიანთა და სხვადასხვა წესის მორწმუნეთა შორის. სახარებისეული სიყვარულის ნიშნით აღბეჭდილი ეს შეხვედრა დასტურია ჩვენი ურთიერთთანადგომისა და ხელს უწყობს ერთობის გზას. დაე, კვლავაც გველოთ ამ რთულ და ნაყოფიერ გზაზე. ღარიბი და სუსტი ადამიანები ხომ “ქრისტეს ხორცია”, ქრისტესი, რომელიც ყველა კონფესიის ქრისტიანებს მიმართავს და მოუწოდებს იღვაწონ პირადი დაინტერესების გარეშე და მიჰყვნენ მხოლოდ სულიწმიდის კარნახს.

გამორჩეულად მივესალმები მოხუცებს, სნეულებს, ტანჯულებს, სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულების ბენეფიციარებს. მოხარული ვარ ვიმყოფებოდე თქვენს შორის და გაგამხნეოთ: ღმერთი არასდროს მიგატოვებთ, ის მუდამ თქვენთანაა, მუდამ მზადაა მოგისმინოთ, შთაგბეროთ ძალა გაჭირვების ჟამს. თქვენ იესოს რჩეულნი ხართ, იესოსი, რომელმაც თავად ინდომა გაიგივებუდიყო ტანჯულებთან, ეწამა რა თავის ვნებაში. საქველმოქმედო საქმიანობა მწიფე ნაყოფია მომსახურე ეკლესიისა, რომელიც ადამიანებს იმედს უსახავს და ღვთის გულმოდგინებას განასახიერებს. ამიტომაც, ძვირფასო ძმანო და დანო, თქვენი მისია ჭეშმარიტად დიდია! კვლავაც მისდიეთ ქველმოქმედებას ეკლესიაში და ღვთიური სიყვარულით გულანთებულებმა მთელი საზოგადოება აზიარეთ მას.

დაე, ქალწული მარიამი, ხატი უანგარო სიყვარულისა, წაგიძღვეთ წინ და დაგიფაროთ. შეგეწიოთ ღვთიური ღოცვა-კურთხევა, რომელსაც მთელი გულით შევთხოვ თქვენთვის უფაღს.

(პაპი ფრანცისკეს მიმართვა ბენეფიციარებთან და ეკლესიის საქველმოქმედო საქმიანობის მუშაკებთან შეხვედრისას, კამილელთა ცენტრი - თბილისი. 2016 წლის 1 ოქტომბერი)